მალხაზ მაცაბერიძე •

განათლების პოლიტიკის საკონსტიტუციო პრინციპების შემუშავება საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) მიერ

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს დამფუძნებელი კრების ის დოკუმენტები, რომლებიც ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის მე-12 თავის („სწავლა-განათლება და სკოლა“) შემუშავებას. აღნიშნული თავი გამომდინარეობდა კონსტიტუციის საერთო დემოკრატიული სულისკვეთებიდან და მკაფიოდ აყალიბებდა განათლების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს: კულტურის თავისუფალი განვითარება; კულტურის და სკოლის დემოკრატიზაცია; საყოველთაო, სავალდებულო, უფასო დაწყებითი სწავლება; საერო განათლების უზრუნველყოფა; სწავლა-განათლების ორგანული მთლიანობა, რაც ითვალისწინებდა სწავლების საფეხურების ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, განათლების პოლიტიკა საქართველოში.

• პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

საქართველოს დამფუძნებელი კრება, იმდროინდელი წარმოდგენების შესაბამისად, მოწვეული იყო საქართველოს კონსტიტუციის შესამუშავებლად. 1919 წლის 12 მარტს შეკრებილმა დამფუძნებელმა კრებამ, სხვა კომისიებთან ერთად, აირჩია საკონსტიტუციო კომისიაც, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ 1919 წლის 22 აპრილის სხდომაზე მიიღო გიორგი გვაზავას (ერ. დემ.) წინადადება, რომლის თანახმადაც დასაწერი კონსტიტუცია „დარგებად“ დაიყო და თითოეული „დარგის“ დაწერა კომისიის რომელიმე წევრს დაეკისრა. სულ გამოიყო 13 „დარგი“ (მომავალი კონსტიტუციის პროექტის თავი), მაგრამ მათ შორის არ იყო „სწავლა-განათლება და სკოლა“ (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.3-4), თუმცა შემდეგ ასეთი თავის საჭიროება ცხადი გახდა და მისი შემუშავება რაჟდენ არსენიძემ (1880-1965) იკისრა. რაჟდენ არსენიძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური მოღვაწე, თავიდან იყო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ კი დაინიშნა იუსტიციის მინისტრად.

„სწავლა განათლების და სკოლის“ თავდაპირველი მონახაზი

საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე (ესწრებოდნენ პ. საყვარელიძე, კ. ჯაფარიძე, მუხრ. ხოჭოლავა, ს. დადიანი, რ. არსენიძე, ლ. ნათაძე) რაჟდენ არსენიძემ წარმოადგინა 4 მუხლისგან შემდგარი თავი სათაურით „სწავლა განათლება“.

მუხლი 1 აცხადებდა: „რესპუბლიკაში ორივე სქესის ბავშვებისათვის წესდება სავალდებულო უფასო და საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლა საზოგადო და პროფესიონალური ხასიათისა. სავალდებულო სახალხო სკოლის კურსი რვა წლიანია“ (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.31). აღნიშნული მუხლი კომისიამ მიიღო (3

ხმით 1-ის წინააღმდეგ), ოღონდ საჭიროდ მიიჩნიეს ამოეღოთ ფრაზა რვაწლიანი სავალდებულო სწავლების შესახებ,

რ. არსენიძის პროექტის მე-2 მუხლი ითვალისწინებდა ღარიბი ოჯახებიდან მოსული მოსწავლეების დახმარებას: „ღარიბ ბავშვებს საზრდო, სამოსი და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემათ“. ამ მუხლმა კამათი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ კამათი გაიშალა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს შორის. პავლე საყვარელიძემ საერთოდ მოითხოვა ამ მუხლის ამოღება, რადგანაც აფიქრებდა სახელმწიფოსთვის დაკისრებული ვალდებულების სიმძიმე: „ამგვარი დეტალიზაცია არ არის საჭირო და იმავე დროს დიდ მოვალეობას აკისრებს სახელმწიფოს“.

კონსტანტინე ჯაფარიძემ პირიქით, საჭიროდ მიიჩნია მუხლის დატოვება და სახელმწიფო დახმარების სავალდებულოდ გადაქცევა. მუხრან ხოჭოლავამ დაინახა მჭიდრო კავშირი წარმოდგენილი დებულების პირველ და მეორე მუხლებს შორის: „თუ პირველი მუხლის ძალით სწავლა სავალდებულოდ ვაღიარეთ უნდა დარჩეს მეორე მუხლიც“.

სხდომის თავმჯდომარემ რაჟდენ არსენიძემ კენჭისყრაზე დაყენა საკითხი „პრინციპიალურად მისაღებია თუ არა მე-2 მუხლი“. კენჭისყრის შედეგად (4 ხმა 1-ის წინააღმდეგ) აღნიშნული მუხლი მიიღეს პრინციპიალურად, თუმცა ამავე დროს წამოყენებულ იქნა წინადადება აღნიშნულ მუხლში სიტყვა „ღარიბი“ შეცვლილიყო „უღარიბესით“. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა კომისიის ოთხმა წევრმა ერთის წინააღმდეგ.

უარყვეს (4 ხმით 2-ის წინააღმდეგ) მუხრან ხოჭოლავას წინადადება მთლიანად შეცვლილიყო მე-2 მუხლი შემდეგი სახით: „უღარიბეს ბავშვების საზრდო, სამოსი და სასწავლო ნივთების შესაძენად სახელმწიფო დახმარებას აძლევს“ (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.31).

რაჟდენ არსენიძის მიერ წარმოდგენილი პროექტის მე-3 მუხლი სახელმწიფოს ნიჭიერ მოსწავლეებზე ზრუნვას, ხოლო ღარიბ

მოსწავლეებისათვის დახმარების ან სესხის მიცემას ითვალისწინებდა: „რესპუბლიკა ყველა ნიჭიერ მოსწავლეს საშვალებას აძლევს საზოგადო ან სპეციალურ სკოლებში სწავლის განგრძობისა მისი ნიჭის მიხედვით, რისთვისაც სახელმწიფო აარსებს საკმაო საშუალო და მაღალ სკოლებს, მხოლოდ ღარიბ მოსწავლეთ აძლევს დახმარებას ან სესხს მათ დამთავრებამდე“ (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.32). აღნიშნული მუხლი ხმათა უმრავლესობით (4 ხმა 1-ის წინააღმდეგ) მიიღეს „პრინციპიალურად“, ოღონდ შეიცვალა მისი რედაქცია: „რესპუბლიკა ყველა ნიჭიერ მოსწავლეს, რომელსაც საშვალება არა აქვს საზოგადო ან სპეციალურ სკოლებში სწავლის განგრძობის, აძლევს დახმარებას მათ დამთავრებამდე“.

პროექტის უკანასკნელი მე-4 მუხლი („კერძო ინიციატივით გახსნილი სკოლები რესპუბლიკის საერთო კანონს ემორჩილება“) ერთხმად მიიღეს პრინციპიალურად, ამავე დროს კომისიამ დაადგინა ცალკე ემსჯელა ეროვნული უმცირესობების საკითხის განხილვის დროს იმის შესახებ, „თუ რომელ თავში კონსტიტუციისა იქნეს შეტანილი ეს მუხლი“ (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.32).

საკონსტიტუციო კომისიის მიერ „სწავლა განათლების და სკოლის“ საბოლოო ტექსტის შემუშავება

1920 წლის გაზაფხულზე, როდესაც საკონსტიტუციო კომისია კონსტიტუციის პროექტის გამოსაქვეყნებლად ემზადებოდა და შემუშავებული თავების საბოლოო ვერსიებს განიხილავდა, 1920 წლის 17 მაისს კვლავ დაუბრუნდნენ „სწავლა განათლება და სკოლის“ თავსაც. სხდომას ესწრებოდა საკონსტიტუციო კომისიის 5 წევრი: პ. საყვარელიძე, ს. ჯაფარიძე, პ. გელეიშვილი, ლ. ნათაძე, პ. წულაია და იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

წარმოდგენილი პროექტიც შემუშავებული იყო რაჟდენ არსენიძის მიერ (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.182, ფურც.98). თუმცა გარკვეულწილად განსხვავდებოდა 1919 წლის დეკემბერში განხილული პრო-

ექტისაგან. სხდომაზე პირველ მუხლში შეიტანეს რედაქციული ცვლილებები და საჭიროდ ჩათვალეს გაეყოთ ორ მუხლად. 1-ლი მუხლი: „ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას“; მე-2 მუხლად კი ჩამოყალიბდა შემდეგი: „სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენს, რომ ხელოვნების ისტორიის და კულტურის ნაშთნი და ძეგლნი დაცულ იქნეს და ზომებს იღებს მათი საზღვარგარედ გატანის წინააღმდეგ“ (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.229).

რაჟდენ არსენიძის პროექტის მე-2 მუხლსაც საკონსტიტუციო კომისიაში კამათი მოჰყვა. საბოლოოდ, მასში შეიტანეს სარედაქციო ცვლილებები და მუხლმა შემდეგი სახე მიიღო: „პირველ დაწყებითი სწავლა საყოველთაო, უფასო და სავალდებულოა; საზოგადო სკოლათა სისტემა ერთ ორგანიულ მთელს წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა“. ასევე კომისიამ ლ. ნათაძის წინადადებით აღნიშნულ მუხლს დაუმატა ჩანაწერი სასკოლო განათლების საერო ხასიათის შესახებ: „ სწავლა განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა“.

პროექტის მე-2 მუხლის შესახებ კომისიის რიგმა წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ შეუძლებელი იყო სახელმწიფოს დავალებოდა ნიჭიერი ღარიბი მოწაფეებისათვის დახმარების გაწევა სწავლის დასამთავრებლად, რადგანაც შეიძლებოდა სახელმწიფოს ამის საშუალება არ ჰქონოდა. ამიტომ ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ მუხლის ეს ნაწილი ამოეშალათ. კომისიის გადაწყვეტილებით მე-3 მუხლი შეიცვალა შემდეგნაირად: „პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, სამოსი და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემა“ (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.229).

კომისიის გადაწყვეტილებით რ. არსენიძის პროექტის მე-4 მუხლი ამოიშალა და დაემატა ორი ახალი მუხლი. კერძოდ, ახალი ნუმერაციით მე-5 მუხლი ითვალისწინებდა შემდეგს: „კერძო ინიციატივით გახსნილი სკოლები ემორჩილება რესპუბლიკის კანონს“,

მე-6 მუხლი კი ითვალისწინებდა სავალდებულო სწავლის დამთავრებისას მოსწავლისათვის კონსტიტუციის ერთი ეგზემპლარის გადაცემას: „სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თოთოეული მოწაფე იღებს კონსტიტუციის ერთ ეკზემპლიარს“. ამ მუხლის საჭიროება კომისიის წევრებმა დაასაბუთეს გერმანიის კონსტიტუციის მაგალითით (სეა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.229).

1920 წლის მაისში მიღებული „სწავლა განათლების და სკოლის“ მუხლები უცვლელი სახით შეიტანეს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებულ პროექტში მე-12 თავად, რომელიც 6 მუხლისგან შედგებოდა (მუხლები 122 – 127).

კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავი და სხვა პარტიების პოზიცია

კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებები გამოთქვეს სხვა პარტიების წარმომადგენლებმა, თუმცა მე-12 თავთან დაკავშირებით შენიშვნები ბევრი არ ყოფილა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრმა და საკონსტიტუციო კომისიის წევრმა სამსონ დადიანმა 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომელშიც საჭიროდ დაინახა კონსტიტუციის პროექტის 124-ე მუხლს ცალკე აბზაცად ჩამატებოდა: „პირველდაწყებითს სასწავლებელში სავალდებულოა საპროფესიო განათლება“ (დადიანი ს., 1920, გვ.562). ამ დამატების საჭიროებას ს. დადიანი შემდეგნაირად განმარტავდა: „სოციალისტური პარტიებისათვის სადაო არ არის, რომ ამ თავითვეა საჭირო მომავალი სოციალისტური სახელმწიფოსათვის ნიადაგის მომზადება და ამ მუშაობისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ მოქალაქე ერთ-ერთ დარგს ტეხნიკისას, ერთ-ერთს პროფესიას უნდა იცნობდეს. ამიტომ პირველდაწყებითს სასწავლებელში, სადაც ახალი თაობა უფასოდ იღებს განათლებას, ერთ-ერთი ხე-

ლობაც უნდა იყოს სავალდებულო ბავშვის ნიჭის მიხედვით“ (დადიანი ს., 1920, გვ.562).

სამსონ დადიანი ეთანხმებოდა კონსტიტუციის პროექტის იმ მუხლს, რომელიც დასაშვებად მიიჩნევდა კერძო თაოსნობით სკოლების გახსნას და აღნიშნავდა, რომ „დემოკრატიულს რესპუბლიკაში სწავლა-განათლება, სკოლების გახსნა, რაც შეიძლება თავისუფალი უნდა იყოს. ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება საკულტურო დაწესებულებათა დაარსებისა“, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა, რომ ისინი ემორჩილებოდნენ რესპუბლიკაში არსებულ წესებს. ამისათვის მისი აზრით, პროექტის 126-ე მუხლში აღნიშნულ „კანონს“ უნდა დამატებოდა ასევე „და განკარგულებებს“ (დადიანი ს., 1920, გვ.562).

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ გაზეთ „შრომაში“ 1921 წლის 23 იანვარს გამოაქვეყნა ამ პარტიის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი სათაურით „მშრომელი ხალხის კონსტიტუცია“. ამ პროექტშიც მე-12 თავი „სწავლა განათლება და სკოლა“ იყო, რომელიც 7 მუხლისგან შედგებოდა.

საკონსტიტუციო კომისიის პროექტთან შედარებით ესერთა პროექტი უფრო კატეგორიული იყო მოსწავლეების სოციალური უზრუნველველყოფის საქმეში. ესერთა კონსტიტუციის პროექტი აცხადებდა, რომ „სწავლა ყველა საფეხურზე უფასოა და საერო“ (მუხლი 86); „პირველ და უმაღლეს-დაწყებითი სწავლა საყოველთაოა და სავალდებულოა“ (მუხლი 87); „ღარიბ მოსწავლეთ რესპუბლიკა უზრუნველყოფს ნივთიერად სწავლის ყველა საფეხურზე“ (მუხლი 88).

ესერთა კონსტიტუციის პროექტი ფაქტობრივად იმეორებდა საკონსტიტუციო კომისიის პროექტის დებულებას სკოლის მთლიანობის შესახებ: „სკოლა მთლიანია და შრომის პრინციპზე აგებული“ (მუხლი 90).

ესერთა პროექტი აცხადებდა, რომ ყველა სკოლა თანაბარი იყო და რომელიმე სკოლის დამთავრება უპირატესობას არ ანიჭებ-

და მოქალაქეს: „არავითარი შკოლა, არც დაბალი, არც საშვალო და არც უმაღლესი თავისთავად არავითარ სახელმწიფოებრივ უფლებებს და უპირატესობას არ ანიჭებს მოქალაქეს“ (მუხლი 89).

ამავე თავში ჩადებული იყო ორი მუხლი მეცნიერებისა და ხელოვნების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც რესპუბლიკის ზრუნვის უპირველეს საგნად ცხადდებოდა შემდეგი: „სულის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას რესპუბლიკა სთვლის პიროვნების სრული განთავისუფლების აუცილებელ პირობათ. მეცნიერება და ხელოვნება რესპუბლიკის ზრუნვის უპირველეს საგანს შეადგენს“ (მუხლი 85).

ესერთა კონსტიტუცია ხელოვანთ და მეცნიერთ რესპუბლიკის სამსახურში მყოფებად აცხადებდა და გასამრჯელოთი უზრუნველყოფდა: „ხელოვანნი და მეცნიერნი, რომელნიც სპეციალურად ხელოვნებასა და მეცნიერებას ემსახურებიან, ითვლებიან რესპუბლიკის სამსახურში და, თავიანთი ნიჭისა და შრომის უნარის მიხედვით, ღებულობენ გასამრჯელოს“ (მუხლი 91).

დასკვნა

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება, დამფუძნებელი კრების შემადგენლობიდან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელში იყო და ამ პარტიის იდეოლოგიურ ხედვებს ემყარებოდა. როგორც საკონსტიტუციო კომისიის განხილული მასალებიდან ჩანს, კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავი მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს. ამ პარტიების საერთო ხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ბავშვებისათვის განათლების უზრუნველყოფას. თუმცა, ამავე დროს, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები სიფრთხილეს იჩენდნენ სახელმწიფოსთვის გარკვეული ვალდებულებების დაწესების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

დადიანი ს., 1920 - ჩვენი კონსტიტუცია განხილული ხალხოსნური სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით - კრებ.: საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები და დოკუმენტები. ტომი II. თბ., 2018, გვ. 517-572.

მშრომელი ხალხის კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, წარდგენილი დამფუძნებელ კრებაში სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის მიერ - კრებ.: საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები და დოკუმენტები. ტომი II. თბ., 2018, გვ. 179-197.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ. 1920 წ. ივნისი - კრებ.: საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები და დოკუმენტები. ტომი II. თბ., 2018, გვ. 425-455.

საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

დანართი

1921 წლის კონსტიტუციის და 1920 წლის კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავი „სწავლა-განათლება და სკოლა“

1921 წლის კონსტიტუცია	1920 წლის კონსტიტუციის პროექტი
მუხლი 109. ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია: სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.	მუხლი 122. ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.
	მუხლი 123. სახელმწიფო ზრუნავს - ხელოვნებისა, ისტორიისა, კულ-

	ტურისა თუ ბუნების ნაშთი და ძეგლი დაცულ იქნეს და უცხოეთში არ იქნეს გატანილი.
მუხლი 110. პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.	მუხლი 124. პირველ დაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთ ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველ დაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.
მუხლი 111. სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად.	მუხლი 125. პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემათ.
მუხლი 112. კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.	მუხლი 126. კერძო თაოსნობით გამართული სკოლა ემორჩილება რესპუბლიკის კანონს.
	მუხლი 127. სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თვითოეულ მოწა-

	ფეს ეძლევა ერთი ცალი კონსტიტუცია.

ლ. ნათაძე. განმარტებითი ბარათი კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავისა („სწავლა-განათლება და სკოლა“)

პირველი იდეა, რომელიც სათავეში აქვს დადებული კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავს, მდგომარეობს ხალხის კულტურული წინსვლის საჭიროებაში. კულტურული წინსვლა მოითხოვს, ჯერ ერთი კულტურის თავისუფლებას, მის თავისუფლად განვითარებას, ყოველი დაბრკოლების მოსპობას მის გზაზე. სახელმწიფო კულტურის დარაჯათ უნდა იდგეს, არც თითონ უნდა იღებდეს კულტურის შემაფერხებელ ზომებს და არც არავის აძლევდეს უფლებას მის შევიწროებისას. მაგრამ სახელმწიფოს როლი არ განისაზღვრება მარტო ამ პასიური დარაჯობით. კულტურის განვითარების საქმეში იგი აქტიურათაც ერევა და თითონვე კისრულობს მის მფარველობას, ხელის შეწყობას და გაძლიერებას.

აქედან გამომდინარეობს მეორე იდეა, რომელზედაც არის აშენებული კონსტიტუციის პროექტის ეს თავი. სახელმწიფო აუცილებელ საჭიროებათ სთვლის კულტურის დემოკრატიზაციას, მის გადაქცევას მთელი ხალხის კუთვნილებათ. ძველი ტიპის სახელმწიფოში კულტურა, სწავლა-განათლება მხოლოდ მაღალი კლასების ხვედრი იყო, მდაბიო კლასებამდის მისი სხივები არ აღწევდა. ისტორიის უკანასკნელ ხანებში სამოქალაქო ცხოვრების განვითარებამ წარმოშვა აზრი, რომ უნდა იყოს კულტურის, სწავლა-განათლების ერთნაირი მინიმუმი, რომელზედაც ყოველს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და რომელიც სახელმწიფომ ყოველს მოქალაქეს უნდა მიაწოდოს. ეს მინიმუმი არის პირველ დაწყებითი სწავლა. დაიბადა იდეა საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლებისა. რომ სწავლება მართლაც გახდეს საყოველთაო აუცილებლად საჭიროა, რომ იგი იყოს **სავალდებულო,** ე. ი. უნდა იყოს გამოცემული კანონი, რომლებიც ბავშვების სწავლებას მშობლებისათვის ისევე ვალდებულათ

ხდის, როგორც მაგ., გადასახადების ვალდებულათ ხდის, როგორც მაგ., გადასახადების ხდას, ან სამხედრო ბეგარას; დაწესდება განსაკუთრებული **სასჯელი** იმ მშობლებისათვის, რომლებიც ამ კანონს არ დაემორჩილებიან და ბავშვებს არ ასწავლიან. მაგრამ სავალდებულო მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სწავლა-განათლება, როდესაც იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება, ე. ი. როდესაც იგი არავითარ ახალ ხარჯს არ მიუმატებს მშობლების ბიუჯეტს, როდესაც იგი იქნება **უფასო**, **უსასყიდლო.** ესეც არ კმარა სწავლა-განათლების მთელი ხალხის კუთვნილებად გადასაქცევად. ღარიბ ღატაკები თავის შვილების სწავლებას ფაქტიურად ვერ მოახერხებენ, თუ მათი შვილები მშიერ-მწყურვალნი, ჩაუცმელ-დაუხურავი იქნებიან, თუ მათ არ ექნებათ წიგნები, რვეულები, კალმები, ხელსაწყოები და სხვ. მაშასადამე ყველაფერი ეს უნდა აძლიოს თვით **სკოლამ** სახელმწიფო ხარჯით (მე-125 მუხლი). საყოველთაო სწავლა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩამოთვლილი მოთხოვნები ერთად და უკლებლივ იქნებიან განხორციელებული: საყოველთაო სწავლა უნდა იყოს სავალდებულო, უსასყიდლო, ღარიბ მოსწავლეთ სკოლა უნდა აძლევდეს საჭმელ-სასმელს, ჩასაცმელ-დასახურავს და სწავლისთვის საჭირო ნივთებს. რომელიმე ეს მოთხოვნა რომ არ შესრულდეს, საყოველთაო სწავლების კანონი ქაღალდზე დარჩება და ვერ შესრულდება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი იდეა, რომელიც შეტანილია კონსტიტუციის პროექტის ამავე განყოფილებაში. სწავლება უნდა იყოს **საერო**, ე. ი. სწავლება უნდა იდგეს ყოველივე სარწმუნოების გარეშე, იგი უნდა თავისუფალი იყოს სარწმუნოებისაგან. ფაქტიურად ეს იდეა ჩვენში უკვე განხორციელებულია ორი წლის წინ გამოცემული პარლამენტის კანონით და არა გვგონია იყოს ისეთი მასწავლებელი (გარდა უიმედოთ დახავსებულ-ჩამორჩენილისა), რომლისათვისაც აშკარა არ იყოს ამ კანონის კეთილი ნაყოფი, პედაგოგიური თვალსაზრისით. მაგრამ გარდა პედაგოგიური თვალსაზრისისა, ამ კანონის გამოცემას მოითხოვს სულ უბრალო საზოგადოებრივი სამარ-

თლიანობაც; სარწმუნოება ეს ისეთი კუნჭულია ადამიანის ფსიხიკისა, რომელიც ყველაზე უფრო ადვილად შეიძლება ხელშეუხებელი დასტოვო; რწმენა ინდივიდუალური მოვლენაა და ერთი ადამიანის რწმენა არაფერს უშლის მეორე ადამიანს. ყველა თავისუფლებათაგან სარწმუნოების თავისუფლება ყველაზე ადვილად განსახორციელებელია და ამიტომაც არის, რომ ისტორიაში მისი იდეა ყველანაირ თავისუფლების იდეებზე უწინ დაიბადა, მაგრამ შეუძლებელია სარწმუნოებრივი თავისუფლების განხორციელება, თუ სახელმწიფო რომელსამე სარწმუნოებას თავისად მიიჩნევს, უპირატესობას მიანიჭებს, მფარველობას გაუწევს და ხელოვნურად გააძლიერებს. სარწმუნოების სწავლება - ეს არის მისი მფარველობა. იშვიათად შეხვდებით ისეთს სახელმწიფოს, სადაც მთელი ხალხი ერთს სარწმუნოებას აღიარებს. სახელმწიფოს არ შეუძლიან ყოველს სჯულს ერთნაირი მფარველობა გაუწიოს, იგი ძალაუნებურად რომელსამე ერთს სჯულს აირჩევს, ეს კი უდრის სარწმუნოების, რწმენის საქმეში ჩარევას, ერთისათვის პრივილეგიის მინიჭებას, მეორის დაჩაგვრას. ამის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნება სახელმწიფომ მთლად უარი თქვას სარწმუნოებრის საქმეებში ჩარევაზე და, მაშასადამე, სარწმუნოების სწავლებაზედაც, ეს, რა თქმა უნდა, არ მოასწავებს სარწმუნოების დევნას, მის წინააღმდეგ ძალადობის ხმარებას. პირიქით, სარწმუნოება კერძო კაცის სინიდისის საქმეთ გადაიქცევა, ყოველი მოქალაქე, თუ მოინდომებს, აღზრდის თავის შვილებს იმ სარწმუნოების კვალობაზე, რომელსაც თვითონ მისდევს.

დაბოლოს კიდევ ერთი იდეა, რომელიც კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავშია გატარებული, ეს გახლავთ მთელი სწავლა-განათლების **ორგანიული მთლიანობა,** პედაგოგიკაში ეს იდეა წარმოიშვა დემოკრატიის გაძლიერებასთან ერთად; იგი წარმოადგენს სკოლის დემოკრატიზაციის ერთ-ერთს საშუალებას. ძველი, პრივილეგიებზე აშენებული სასკოლო სისტემა არ ფიქრობდა მდაბიო ხალხის საჭიროებაზე. ერთი საფეხურის სკოლა სრულიად მოშორე-

ბული იყო მეორე საფეხურის სკოლისაგან. საშუალო სწავლა სრულებით არ შეესაბამებოდა პირველ-დაწყებითს და უმაღლესი-საშუალოს. პირველდაწყებითი სკოლა დანიშნული იყო მდაბიო ხალხისათვის, რომელსაც ხელოვნურად უშლიდნენ საშუალო სასწავლებელში სწავლის განგრძობას, საშუალო და უმაღლესი სწავლა კი მაღალ კლასების ბავშვთათვის იყო. ის, რასაც ეწოდება „მთლიანი სკოლა“ (единая школа) გამომდინარეობს წოდებათა გათანასწორების იდეიდან სწავლა განათლების მხრივ. სასწავლო პროგრამები სხვა და სხვა საფეხურების სკოლებში უნდა ერთმანეთთან შეფარდებული იყოს: საშუალო სწავლება უნდა წარმოადგენდეს პირველდაწყებითი სწავლების განგრძობას და უმაღლესი სასწავლებელი უნდა იყოს საშუალოს განგრძობა. პირველდაწყებით სკოლაში კურსდამთავრებულს ბავშვს უნდა შეეძლოს დაუბრკოლებრივ და უეკზამენოთ შესვლა საშუალო და საშუალოდან უნდა შესაძლებელი გახდეს უმაღლესში გადასვლა.

ასეთი გახლავთ მთავარი იდეები, რომელზედაც არის აშენებული კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავი საკონსტიტუციო კომისიას ჰგონია, რომ ეს იდეები სრულს თანხმობაში და ჰარმონიაში არიან იმ იდეებთან, რომლებიც სათავეში აქვთ დადებული მთელს კონსტიტუციის პროექტს; მთელი პროექტის მიზანია შექმნას უაღრესად დემოკრატიული სახელმწიფო და ამისთანა სახელმწიფოში კი აუცილებელია, რომ სწავლა-განათლება და კულტურა მთელი ხალხის კუთვნილებათ გადაიქცეს. ჩვენი სწავლა-განათლების პროექტი წარმოადგენს ყველა იმ პრინციპის თავმოყრას, რომლებიც ახალ პედაგოგიურს ლიტერატურაში და პრაქტიკაში სკოლის დემოკრატიზაციის უდავო პრინციპებათ არიან აღიარებული.

სეა, ფ. 1833, აღწერა 1, საქ. 182, ფურც. 36-37.

სწავლა-განათლება და შკოლა

შედგენილი რ. არსენიძისაგან

1) ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია. სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

2) სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენს, რომ ხელოვნების, ისტორიის და კულტურის ნაშთნი და ძეგლნი დაცულ იქნენ და ზომებს იღებს მათი საზღვარ გარეთ გატანის წინააღმდეგ.

3) პირველდაწყ. სწავლა საყოველთაო, უფასო, სავალდებულო და საეროა. საზოგადო სკოლათა სისტემა ერთ ორგანულ მთელს წარმოადგენს, სადაც პირველდაწყ. სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

4) პირველდაწყ. სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, სამოსი და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემა.

5) კერძო ინიციატივით გახსნილი სკოლები ემორჩილებიან რესპუბლიკის კანონს.

6) სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თითოეული მოწაფე იღებს კონსტიტ. ერთ ეკზემპლიარს.

სეა ფ. 1833, აღწერა 1, საქ.182, ფურც.98

საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი

1919 წ. დეკემბრის 20

დაესწრენ: პ. საყვარელიძე, კ. ჯაფარიძე, მუხრ. ხოჭოლავა, ს. დადიანი, რ. არსენიძე, ლ. ნათაძე.

თავმჯდომარეობდა რ. არსენიძე.

მდივნობდა სვიმონიშვილი.

განსახილველი საგანი	დადგენილება
2. სწავლა განათლება მომხსენებელი რ. არსენიძე კითხულობს პროექტს მუხლობ-	

რივ	
მუხლი 1. „რესპუბლიკაში ორივე სქესის ბავშვებისათვის წესდება სავალდებულო უფასო და საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლა საზოგადო და პროფესიონალური ხასიათისა. სავალდებულო სახალხო სკოლის კურსი რვა წლიანია. **მუხლი 2.** „ღარიბ ბავშვებს საზრდო, სამოსი და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემათ“	ხმის უმეტესობი (3-1 წინააღ.) მიღებულია. ამოიშალოს სიტყვები: „სავალდებულო სახალხო სკოლის კურსი რვა წლიანი“. მუხლი მიღებულია.
პ. საყვარელიძე: ეს მუხლი სულმთლად ამოიშალოს, რადგან ამგვარი დეტალიზაცია არ არის საჭირო და იმავე დროს დიდ მოვალეობას აკისრებს სახელმწიფოს. **კ. ჯაფარიძე:** უნდა დარჩეს ეს მუხლი და უნდა სწორედ სავალდებულოდ გადაიქცეს სახელმწიფოს დახმარება. **მ. ხოჭოლავა:** თუ პირველი მუხლის ძალით სწავლა სავალდებულოდ ვაღიარეთ უნდა დარჩეს მეორე მუხლიც.	
თავმჯდომარე: პრინციპიალურად მისაღებია თუ არა მე-2-ე მუხლი.	ხმის უმეტესობით (4-1 წინააღმდეგ) მე-2-ე მუხლი მიღებულია პრინციპიალურად.

თავმჯდომარე: არის წინადადება შეიცვალოს ამავე მუხლში სიტყვა „ღარიბი“ – „უღარიბესით“.	ხმის უმეტესობით (4-1 წინააღ.), მიღებულია შეიცვალოს მე-2-რე მუხლში სიტყა „ღარიბი“ – „უღარიბესით“. მუხ. ხოჭოლავას წინადადება, რომ მთელი მე-2-ე მუხლი შეცვლილ იყოს ასე: „უღარიბეს ბავშვების საზრდო, სამოსის და სასწავლო ნივთების შესაძენად სახელმწიფო დახმარებას აძლევს“ - უარყოფილია ხმის უმეტესობით (4-2-ის წინააღმდეგ).
მუხლი 3. „რესპუბლიკის ყველა ნიჭიერ მოსწავლეს საშვალებას აძლევს საზოგადო ან სპეციალურ სკოლაში სწავლის განგრძობისა მისი ნიჭის მიხედვით, რისთვისაც სახელმწიფო აარსებს საკმაო საშუალო და მაღალ სკოლებს, მხოლოდ ღარიბ მოსწავლეთ აძლევს დახმარებას ან სესხს მათ დამთავრებამდე“.	ხმის უმეტესობით (4-1-ის წინააღმდეგ) მე-3-მე მუხლი მიღებულია პრინციპიალურად. რედაქცია ამ მუხლისა შეცვლილია ამ რიგად: „რესპუბლიკა ყველა ნიჭიერ მოსწავლეს, რომელსაც საშვალება არა აქვს საზოგადო ან სპეციალურ სკოლებში სწავლის განგრძობისა, აძლევს დახმარებას მათ დამთავრებამდე“.
მუხლი 4. „კერძო ინიციატივით გახსნილი სკოლები რესპუბლიკის საერთო კანონებს ემორჩილება“.	მე-4-ე მუხლი მიღებულიაებ პრინციპიალურად. კომისიამ დაადგინა იქონიოს ცალკე მსჯელობა ეროვნულ უმცირესობათა საკითხის განხილვის დროს იმის შესახებ, თუ რომელ თავში კონსტიტუციისა იქ-

თავმჯდომარე მდივანის მაგ.	ნეს შეტანილი ეს მუხლი.

სეა, ფ.1833, აღწერა 1, საქ. 180, ფურც.31-32

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი

1920 წ. მაისს 17

დაესწრენ: პ. საყვარელიძე, ს. ჯაფარიძე, პ. გელეიშვილი, ლ. ნათაძე, პ. წულაია; იუსტიციის მინისტრი - რ. არსენიძე.

თავმჯდომარეობდა პ. საყვარელიძე.

განსახილველი საგანი	დადგენილება
1. „სწავლა განათლება და სკოლა“ 1-ლ მუხლში კრებას შეაქვს რედაქციული შესწორებანი: გამოთქმულია აგრეთვე აზრი ეს მუხლი ორ მუხლად განაწილდეს.	1-ლი მუხლი განაწილდეს ორ მუხლად: ახალი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით - პირველი: „ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას“. მეორე: „სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენს, რომ ხელოვნების, ისტორიის და კულტურის ნაშთნი და ძეგლნი დაცულ იქნეს და ზომებს იღებს მათი საზღვარგარედ გატანის წინააღმდეგ“

პროექტის მე-2 მუხლი იწვევს აზრთა გაცვლა-გამოცვლას აგრეთვე რედაქციის მხრივ.	მე-2 მუხლი შეიცვალოს ასე: „პირველ დაწყებითი სწავლა საყოველთაო, უფასო და სავალდებულოა; საზოგადო სკოლათა სისტემა ერთ ორგანიულ მთელს წარმოადგენს, სადაც პირველ-დაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა“.
ლ. ნათაძეს წინადადება შემოაქვს ამ მუხლს დაემატოს შემდეგი: „სწავლა განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა“. თავმჯდომარე კენჭს უყრის რედაქციულ შესწორებასა და ნათაძის წინადადებას.	წავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.
მე-3 მუხლის შესახებ ზოგიერთი წევრი იმ აზრისაა, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს დავალებით დახმარება მისცეს ნიჭიერ ღარიბ მოწაფეებს სწავლის დასამთავრებლად, შეიძლება სახელმწიფოს ამის საშვალება არ ექნეს; შემოსულია წინადადება მუხლის ეს ნაწილი ამოიშალოს, თავმჯდომარე კენჭს უყრის.	მე-3 მუხლი შეიცვალოს ასე: „პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, სამოსი და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემა“.
მე-4 მუხლის შეტანა კონსტიტუციაში რამოდენიმე წევრს ზედ-	მე-4 მუხლი ამოიშალოს

მეტად მიაჩნია; მოითხოვენ მუხლის ამოშლას	
შემოსულია წინადადება რომ ახალ მუხლებად შეტანილ იქნეს შემდეგი: 1) „კერძო ინიციატივით გახსნილი სკოლები ემორჩილება რესპუბლიკის კანონს“ და 2) „სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თითოეული მოწაფე იღებს კონსტიტუციის ერთ ეკზემპლიარს“. უკანასკნელი მუხლის საჭიროებას წევრები ასაბუთებენ გერმანიის კონსტიტუციის მაგალითით.	ახალ მუხლებად შეტანილ იქნეს შემდეგი: მუხლი მე-5 „კერძო ინიციატივით გახსნილი სკოლები ემორჩილება რესპუბლიკის კანონს“ მუხლი მე-6 – „სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თითოეული მოწაფე იღებს კონსტიტუციის ერთ ეკზემპლიარს“

სეა, ფ. 1833, აღწერა 1, საქ.181, ფურც.229

მშრომელი ხალხის კონსტიტუცია
საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, წარმოდგენილი დამფუძნებელ კრებაში სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის მიერ
თავი მეათე
მუხლი 85.

სულის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას რესპუბლიკა სთვლის პიროვნების სრული განთავისუფლების აუცილებელ პირობათ. მეცნიერება და ხელოვნება რესპუბლიკის ზრუნვის უპირველეს საგანს შეადგენს.

მუხლი 86.

სწავლა ყველა საფეხურზე უფასოა და საეროა.

მუხლი 87.

პირველ და უმაღლეს-დაწყებითი სწავლა საყოველთაოა და სავალდებულოა,

მუხლი 88.

ღარიბ მოსწავლეთ რესპუბლიკა უზრუნველყოფს ნივთიერად სწავლის ყველა საფეხურზე.

მუხლი 89.

არავითარი შკოლა, არც დაბალი, არც საშვალო და არც უმაღ-ლესი თავისთავად არავითარ სახელმწიფოებრივ უფლებებს და უპირატესობათ არ ანიჭებს მოქალაქეს.

მუხლი 90.

სკოლა მთლიანია და შრომის პრინციპზე აგებული.

მუხლი 91.

ხელოვანნი და მეცნიერნი, რომელნიც სპეციალურად ხელოვ-ნებასა და მეცნიერებას ემსახურებიან, ითვლებიან რესპუბლიკის სამსახურში და, თავიანთი ნიჭისა და შრომის უნარის მიხედვით, ღებულობენ გასამრჯელოს.

გაზ. „შრომა“, 1921 წ. 23 იანვარი, N 4.

Malkhaz Matsaberidze

Elaboration of the Constitutional Principles of Educational Policy by the Constituent Assembly of Georgia (1919-1921)

Abstract

The paper analyses those documents of the Constituent Assembly of Georgia which deal with the elaboration of the Chapter 12th („Education and School“) of the 1921 Constitution of the Democratic Republic of Georgia. The above-mentioned chapter was written with the general democratic spirit of the constitution and clearly defined the main principles of the educational policy: free development of culture; democratization of culture and school; nation-wide, mandatory and free-of-charge primary education; provision of secular education; unity of the teaching and learning, which rested on the coherence of the different stages of education;

Key words: Democratic Republic of Georgia; 1921 Constitution of Georgia; Educational Policy in Georgia.